

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

უსინათლოთა ვიზუალური კომუნიკაციის შეზღუდვის კომპენსაცია განათლების პროცესში

ზაზა ადანაია¹, გურანდა ჯამათაშვილი²

¹არასამთავრობო ორგანიზაცია აქტა ვიტა,

²ქ. თბილისის 202-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

სტატია ეხება განათლების პროცესში არსებული დისკრიმინაციის იმ ფორმის, ნეიტრალიზაციის საკითხს, რომელიც არ არის გამოწვეული ნეგატიური ინტერვენციით, არამედ იგი გვხვდება, როგორც არახელსაყრელ გარემოებათა თანხვედრით განპირობებული მოცემულობა.

ცნობილია, რომ ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ადამიანი მხედველობის მეშვეობით იღებს. ამიტომ, სასწავლო პროცესში, ვიზუალური მასალა პრევალირებს. უსინათლო ადამიანს, ვიზუალური კომუნიკაციის ბუნებითი შეფერხების გამო, არ შეუძლია საილუსტრაციო მასალის აღქმა და არასრულფასოვნად არის ჩართული სასწავლო პროცესში, რითაც ირღვევა მისი ერთ-ერთი ძირითადი სამოქალაქო უფლება, განათლების უფლება.

ჯერჯერობით, არ არსებობს შესაძლებლობების შეზღუდვით გამოწვეული დეფიციტის კომპენსირების ეფექტიანი მექანიზმები და ამ მიზეზით, უსინათლოებისთვის პრობლემატურია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ხარისხიანი განათლების მიღება. ამ ხარვეზის გამოსწორებისათვის, სამეცნიერო თვალსაზრისით მრავალი რამ გაკეთდა, მაგრამ სამუშაო კვლავაც ბევრია. საჭიროა, ძალისხმევის კონცენტრაცია მოხდეს ისეთი ფუნდამენტური ხასიათის მქონე, კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე, როგორცაა სასწავლო პროცესში, ვიზუალური ინფორმაციის ტრანსლირებასთან და აღქმასთან დაკავშირებული შეზღუდვა. იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს, აუცილებელია თავდაპირველად ჩამოყალიბდეს თეორიული საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შემდგომში შეიქმნება ვიზუალური ინფორმაციის შეზღუდვით გამოწვეული დეფიციტის კომპენსირებისათვის მისადაგებული მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: უსინათლო, შეზღუდვა, ინფორმაცია

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კაცობრიობის მოწინავე, ჰუმანისტური მსოფლმხედველობის მატარებელი ნაწილისათვის, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში, აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხი და ამ კატეგორიის მოქალაქეთა ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. დისკრიმინაცია შესაძლებელია იყოს, როგორც მიზანმიმართული, ასევე, არახელსაყრელ ობიექტურ გარემოებათა თანხვედრით განპირობებულიც. ამ შემთხვევაში, ყურადღებას ვამახვილებთ, განათლების პროცესში არსებულ დისკრიმინაციის იმ ფორმაზე, რომელიც არ არის გამოწვეული ნეგატიური ინტერვენციით, არამედ იგი არსებობს, როგორც არახელსაყრელ გარემოებათა

თანხვედრით განპირობებული მოცემულობა, რომლის ნეიტრალიზაციაც არ წარმოადგენს დაუძლეველ სირთულეს.

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ პრობლემა და მივმართოთ ძალისხმევა იმ მიმართულებით, რომ საზოგადოება, სახელმწიფო, თუ სხვა კომპეტენტური ინსტიტუციები დაინტერესდნენ წარმოდგენილ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტით, რადგან მხოლოდ ერთობლივი მუშაობით შეიძლება გაუნმჯობესდეს ვითარება და განხორციელდეს პოზიტიური ცვლილებები, რომელთა შემდგომაც გაიზრდება განათლების სისტემის ლოიალურობის ხარისხი იმ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა მიმართ, ვისთვისაც განათლების პროცესში არსებობს შემაფერხებელი შეზღუდვები.

ცნობილია, რომ ინფორმაციის უდიდეს ნაწილს, ადამიანი მხედველობის მეშვეობით იღებს. ამიტომ, როგორც წესი, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში ვიზუალური საინფორმაციო, თუ საილუსტრაციო მასალა პრევალირებს. უსინათლო ადამიანებს ვიზუალური კომუნიკაციის ბუნებითი შეფერხების გამო, არ შეუძლიათ სასწავლო-შემეცნებითი საინფორმაციო კონტენტის მხედველობის მეშვეობით აღქმა. ეს გარემოება განათლების მიღების პროცესში განაპირობებს სპეციალური საჭიროებების მქონე ამ კატეგორიის პირთა შესაძლებლობების შეზღუდვას. ჯერჯერობით არ არსებობს შესაძლებლობების შეზღუდვით გამოწვეული დეფიციტის კომპენსირების ეფექტიანი მექანიზმები და ამ მიზეზით, უსინათლოებისთვის პრობლემატურია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ხარისხიანი განათლების მიღება. ამგვარად, არასაკმარისად არის დაცული ასეთი შეზღუდვების მქონე ადამიანების სამოქალაქო უფლებები, რადგან მათ არ გააჩნიათ ადამიანის ერთერთი ძირითადი უფლების, განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაციის საშუალება.

არაერთი მეცნიერი და მკვლევართა ჯგუფი იყო წარსულში დაკავებული უსინათლო ადამიანების განათლების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების თემატიკაზე მუშაობით. ამ სფეროში სამეცნიერო საქმიანობა თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება. იქმნება სასწავლო, სამეცნიერო, თუ სპეციფიკური ხასიათის მქონე, ხმოვანი კომპიუტერული პროგრამები; იხვეწება საგანმანათლებლო რესურსები, გამოიცემა სამეცნიერო პუბლიკაციები და იბეჭდება სპეციალური სასწავლო მასალა. მრავალი რამ გაკეთდა, მაგრამ სამუშაო კვლავაც ბევრია. ვითარდება კომუნიკაციის საშუალებები და ტექნოლოგიები, შრომის ბაზარზე მწვავედება კონკურენცია, იზრდება კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა და ამ თვალსაზრისით, განათლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ კონტექსტში, განათლების თემა უსინათლო ადამიანებისთვისაც პრიორიტეტულია. აქედან გამომდინარე, საჭიროა, რომ განათლების სფეროში, ამ კატეგორიის პირთა წინაშე არსებული სირთულეების დაძლევის კუთხით, კიდევ უფრო გააქტიურდეს მუშაობა და ძალისხმევის კონცენტრაცია მოხდეს ისეთი ფუნდამენტური ხასიათის მქონე კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე, როგორცაა სასწავლო პროცესში ვიზუალური ინფორმაციის ტრანსლირებასთან და აღქმასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

იმისათვის, რომ ამ საკითხთზე მუშაობა პოზიტიური შედეგით დასრულდეს და განათლების მიღების პროცესში მაქსიმალურად შემცირდეს შესაძლებლობების შეზღუდვით გამოწვეული ბარიერების რაოდენობა, საჭიროა ისეთი მექანიზმების მიგნება, დამუშავება და ამოქმედება, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი გახდება ვიზუალური ინფორმაციის ჩანაცვლება კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით. ასეთი ჩანაცვლება ადეკვატური და ეფექტიანი რომ იყოს, აუცილებელია საკომუნიკაციო შესაძლებლობების მისადაგება ბენეფიციარის სპეციალურ საჭიროებებთან, მაგრამ მექანიზმების დამუშავება და კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება შეუძლებელი გახდება, თუ თავდაპირველად არ ჩამოყალიბდება ამისათვის აუცილებელი თეორიული ბაზა.

დროის მოცემულ მონაკვეთში კომუნიკაციის შეზღუდვის გამო, არ არის შექმნილი განათლების პროცესში სპეციალური საჭიროებების მქონე უსინათლო ბენეფიციარების წინაშე არსებული, ვიზუალური ინფორმაციის დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებისათვის აუცილებელი, დასაბუთებული თეორიული საფუძველი. განათლების მიმღები პირების სპეციალური საჭიროებებისა და კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების სასწავლო პროცესში ურთიერთ თავსებადობის საკითხი არ არის შესწავლილი. აგრეთვე, არაა განსაზღვრული და დიფერენცირებული მიდგომები, კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით ინფორმაციის ეფექტიანი ტრანსლაციის თვალსაზრისით, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა. საგანმანათლებლო საფეხურები;

ბ. სასწავლო საგნებისა და თემატიკის სპეციფიკა;

გ. ბენეფიციარის ინტელექტუალური, პროფესიული, ან განსაკუთრებული უნარები.

ასევე, არ არსებობს ვიზუალური კომუნიკაციის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის ალტერნატიული საშუალებებით მიწოდების ადაპტირებული უნივერსალური მეთოდოლოგია.

ცხადია, რომ თუ ზემოთ აღწერილი პრობლემები არ მოგვარდა, შეუძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროცესში უსინათლო ბენეფიციარების წინაშე არსებული ისეთი საკვანძო პრობლემის გადაწყვეტა, როგორცაა ვიზუალური ინფორმაციის ტრანსლირებასთან და აღქმასთან დაკავშირებული შეზღუდვა.

აი ამ შეზღუდვის დაძლევისათვის უნდა შეიქმნას თეორიული დასაბუთება. უნდა ჩამოყალიბდეს ვიზუალური დეფიციტის კომპენსირებისათვის აუცილებელი თეორიული საფუძველი და დამუშავდეს ადაპტირებული უნივერსალური მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდება, ვიზუალური მასალით აპელირების გარეშე, სასწავლო პროცესის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის საჭირო

ინფორმაციის (შინაარსის იდენტურობის შენარჩუნებით) ინტერპრეტაცია და მისი ტრანსლაცია კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებებით.

ჩვენ მიერ აღწერილი პრობლემატიკის მოგვარებისათვის საჭიროა კომპლექსური კვლევითი სამუშაოების ჩატარება. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთება ეფექტიანი მექანიზმების შექმნის გზები და შესაძლებელი გახდება ამ მექანიზმების ამოქმედება, როგორც ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ასევე სპეციალური ტიპის სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე. ნოვაციების იმპლემენტაცია განათლების სისტემაში გააფართოვებს შესაძლებლობებს, მოხსნის უსინათლო ადამიანების წინაშე არსებულ შეზღუდვებს და ამ კატეგორიის პირებისათვის შეიქმნება სრულფასოვანი განათლების მიღებისათვის გაუმჯობესებული პირობები.

ამგვარად, პირობების გაუმჯობესების შედეგად, შეიქმნება საფუძველი იმისა, რომ უსინათლო ბენეფიციარმა მიიღოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლება. გარდა ამისა, ასეთი სპეციალური საჭიროებების მქონე პირს მიეცემა საშუალება სრულფასოვნად გამოიყენოს თავისი ერთერთი ძირითადი სამოქალაქო უფლება (განათლების უფლება). დამლეული იქნება არახელსაყრელ გარემოებათა თანხვედრით გამოწვეული დისკრიმინაცია და განათლება უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება უსინათლო ადამიანისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Heller, M. (1989) Picture and pattern perception in the sighted and blind. Winston-Salem State University
2. Heller, M. (1990) touch representation and blindness
3. Holins, M. (1988) understanding blindness. Laurence Earl[Boum New Jersey
4. Nieman, S. Jakob, N. (2000) Helping children who are blind. The Hesperian Foundation Berkeley California